

18065 27 036066

ვადი 10 საა.

# კარტბერ


26. -სალამური

შოთა-კორელი იუმინ. ქურნალი.

ლიფრედ ს. გიხოვა.

ს ა წ ი ც ა გ ა ჩ

20



ს ა წ ი ც ა გ ა ჩ

ზეცდომის გასემობა. პრეცლი გვერდის კრიკა-  
ტ ჯრას შეცდომით აწერდა ქვემ წერწერა: „შროფ. კუკი და  
ჩადილო ზოდიუსი“ ეს წერწერა ზედა ეწეროს მე-18 გვერ-  
დის სურათს.

## წმმაკის ინტერვიუ.

ხოლორის ბაცილასთან.

ასენინათ მივდიოდი ეგრეთ წოდებულ „სალ-  
და არის ბაზარში“, სილც ყოველ დღე და მარად  
უამ დგას საუცხოვო სურნელოვანება დამპალ სა-  
ნოვაგეთა და ახალ ახალ სიბინძურეთა. ეს ადგილი  
ქალაქის შუაგულია და ალბათ აძირომაც ამბობენ:  
ჩვენი ქალაქის მამებს მყრალი გული იქვთო. ვინ  
იცის!

უცებ, ბზუილ-ბზუილით, პატარა, პაწაწენ-  
ტელა ასება, თვით კოლონზედაც უფრო მომტრო  
და მორჩილი, ჩამოსკუპდა ჩემს, ტევრით დათრთვი-  
ლულ ცხვრის კენჭეროსე. თუ არ განსაკუთრებუ-  
ლი ყურადღება ჩემი ცხვირისადმი, რომელიც ამ ხა-  
ნად თავს ერთობ ვაგლაბათ გრძნობს, იქნებ ვერც  
კი შემნიშვნა ასეთი მცირე და სასურველი სტუმა-  
რი ინის მწვერვალისა.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?

თავასიანათ შევეყითხე სტუმარს, თემუა ერთი  
თოთის მოსმა და მის გასრესა ძრავითარ სინერეთ  
არ მეჩვენებოდა. სტუმართ მოყვარეობა, გაგონილი  
მაქვს, ქართველთა ერთად-ერთ ლიტებას შეაღენსო  
და ვერ გავტედ იმისი უკავებდება.

— ვანა არ მიცნობთ?

— პირველათ გხედავთ, პაროვნ გოთუსა მზესა  
ვუკავა.

— ნუ თუ?

— ვანა თითონ არ იცით ყოფილხართ თუ არა  
იმ აგარაკზე, რომელსაც ეხლა ეწვიეთ?

— დიახაც, დიახაც! წინა ზაფხულებშიაც გვ-  
ახელით, მაგრამ მაშინ თქვენ ამდენ ყურადღებას არ  
აქცევდით საკუთარ ცხვირს და იმიტონაც ვერ შე-  
მნიშვნე.

— ყოველ შემთხვევაში, ბატონი ჩემო, მე თქვენ  
ვერ გიცნობთ.

— მაშ გოხოვთ მიცნობდეთ, — ხოლორის ბა-  
ცილა გახლავით.

ჩემს აღრაცებას თქვენც ადვილათ წარმოიდ-  
გინეთ და ამიტომ სიტყვას აღარ გაფარძეოდ ამის  
შესახებ. მიკვირდა მხოლოდ ის, რომ ასეთი საში-  
უარი მტერი აღამიანთა, რომელსაც მოულილი მხა-  
ტვრები კბილებ დალრენილ ჩონჩხის სახით ხატავნ,  
სრულიად პატარას და საუცხოვო ლამაზ არსებას  
წარმოადგენდა.

— ძლიერ სასიამოვნოა თქვენი გაცნობა, ძვირ-  
ფასი სტუმრო! მიერს-ლამე მოაგარაკეს ძუნწი მას-  
პინძლის სიტყვა გაშლილობით.

— არა მგონია მაინც და მაინც სასიამოვნო

გქონდეთ ასეთი განსაცდელის სიახლოევე, მაგრამ გა-  
რწმუნებთ, რომ თქვენ უზრუნველ-ყოფილი ხართ  
ჩვენი რისხევისაგან.

ჩამეცნა. ასეთი ვინზე, ასეთი უჩინარი გვამი  
და ამოდენა გამშედვითა, ესოდენი სიზვიადე!

— რატომ ცუნით?

— მეცინება თქვენი იზირებული ტრაბახი. ნუ  
თუ თქვენა გვონიათ, ჩემი სტუმართ-მოყვარეობა  
შიშით არის ვამოწვეული? შემცდარი ბრძანდებით!  
გარწმუნებთ, რომ ჩემში თქვენ ვეღარავერს მოქ-  
ლავთ, ვეღარავერს და ესარა იმიტომ რომ უძლური  
ხართ, არამედ იმიტომ, რომ მოგასწრეს უფრო გა-  
მოცდილმა და განათლებულმა ხოლორა აღამიანებმა.  
თქვენ ამ უძაბნოში იმყოფებით.

ბაცილი ერთობ გულკეთილი გამოდგა. ცხადათ  
ვატყობილი, რომ ძალით იქერდა თვალებზე მომდგარ  
ცრემლებს და თავს თანაგრძნობის ნიშნით აენ-  
ტურებდა.

— თქვენ ის გვაბრძანეთ, ბატონი ბაცილავ,  
როდემდის აპირობა იქეთ დარჩენას?

— როგორ თუ როდემდის? აას რაღა კითხვა  
უნდა... რასაკვირველია საშედრო წესების მოხსნა-  
დე!!!

— ძლიერ სასიამოვნოა, ძლიერ სასიამოვნო!  
რატომ ეგრე მოკლე ვალით ინებეთ მობრძანება?

ხოლორის ჩამეცნა, მაგრამ თავი შეიმაგრა და  
განაგრძო.

— დრო არა გვაქვს, ჩემო კეთილო მასპინძელო,  
დრო. მოელი განახლებული რუსეთი ჩემნისა და ჭე-  
შმარიტ-რუსთა ანაბარა დარჩა ხუმრობა საქმეა ამო-  
დენა შევნის მოვლა?

— კიდევ კარგია თანხმობით თუ მუშაობთ,  
კეშმარიტ რუსებთან.

— სულ კოტა, უმნიშვნელო, ტაძრიკური გა-  
ნსხვავებაა და ფრაქციულ განხეთ-ჭილებამდე ს ჭე  
არ მისულა.

— მაინც?

— საქმე იმაშია, რომ ისინი მხოლოდ გაძარ-  
ცვის მომხერი არიან, ჩვენ კი წმინდა წყლის ტე-  
რორისტები ვართ! ისინი უფრო პანელი ფულები-  
სათვის! იღწვიან, ვიდრე იდეისა და სამართლიანო-  
ბისათვის. ჩვენი საქმე კი სულ სხვაა. ჩვენ სრული-  
ადაც არ გვინტერესებს ქონებრივი მხარე ბრძოლისა,  
ჩვენი საქმე წმინდა პრინციპია.

— აქ რა გეგმით შეუდგებით მოლებაშემანავი?  
ხომ იცით კავკასიის დედა ქალაქი სულ სხვა პირ-  
ბებშია, ვიდრე თქვენი პეტერბურგი, ან წლევანდე-  
ლი რეზიდენცია, — როსტოკი.

— განაპირა მხარეებს ჩვენც ისე არ უუკუ-  
რებთ, როგორც ჩვენი მოკავშირენი. ისინი ძარ-  
ცვით, მართალია, ყველას ძარცვავნ, მაგრამ განაპი-  
რა უბნებს უფრო ემტერებიან. ჩვენთვის ყველა ერ-

თია. ძლიერ სასიმოვნო იქნებოდა ჩემთვის თქვენი ძეგირფასი ოჩევა-დარიგება. მართალია უცხო არა ვარ აქა, მაგრამ მაინც მალე იკვლება დროება და ცხოვრების პირობები.

— ვრომ რა გნებავთ?

— ოჩევა-დარიგება, მეტი არაფერი. საჭიროა ვიცოდე.

— აააა! ძალიან კარგი, ძალიან კარგი! მე არ დავიშურებ თქვენთვის ჩემს ცოლასა და გამოცდილებას.

გულში, სამწუხაროთ, კეთილი აზრი დამებადა. თუ გავტმინდე ქვეყნა, სწორეთ ახლა მეტე, ვიფრე და დავიწყე:

— თქვენ ლექსებსა სწერთ?

— რის ლექსებს?

— აი, ისეთ ლექსებს, როგორსაც ჩენი სანაცვეტები.

ხოლორის ბაცილა, მეტის გაკეირვებით, პირდალებული შემომცეკროდა.

— პირველათ მესმის სიტყვა „პოეტები“ ამდენი ხანია სულ სანაცვეტებში ვიქექები და ერთი იმათვანი ნუ თუ არსაც გადამეყარა?

— რასა გრძანებთ! რამელო სანაცვეშიაც, ანუ რედაქტირაშიაც უნდა ჩაიხდოთ, კულებან მრავლის უმრავლესია, მაგრამ არ აქცენტ, მალაცენ.

— მერიე რა გნებავთ?

— ისა მნებავს, რომ იქნება მოვისპო, ეგ ხალხი როგორმე. რას დაფიქრდით, აი? მნელია?

— მნელი არ არის, მაგრამ... ერთი ეს მიბრძანეთ, რასა სჭამენ?

— რასა სჭამენ? რა ვიცა რასა სჭამენ. მე მჭამენ, მკათხველებს სჭამენ, ქალალდს სჭამენ.

— აააა!.. რასა სჭამენ?

— მელანს! მელანს! მელანს!

— მნელია! მაგათ მოსპობა ძლიერ გაგვიჭირდება. სულ სხვა იქნებოდა, საზამთროს ქერქებს რო სჭამდენ, ან სხვა რაიმე ასეთს.

— საზამთროს ქერქი ძეირია, თქვენ დალოცვილო! მაში დრამატურგებიდან დაგვიფარეთ!

— ეს რაღა ხალხია?

— აი, დრამებს რომ სწერენ.

— კიდევ წერა! და წერა! თქვენ ის მითხარით, თუ რით იკვებებიან.

— ქალალდით და მელნით!

— მაში პირები ყოფილან.

— არა, ესენი დრამატურგები არიან.

— საზამთროს ქერქებს არა სჭამენ?

— არა.

— მაში ძნელია.

საშინალო მეწინა. კინალამ ავტორდი. ნუ თუ ასეთი მარჯვე და მოხრებებული შემთხვევა უსარავებლოთ დამეკარებება მეტე.

— რამ მოგაწყინათ? შემეცითხა სტუმარი.

— როგორ თუ არა? ჩენს გასაჭირო თუ ვერაფერს უშველით, რიღას მანისია თქვენი სტუმრობა?

— განა სხვა არავინა გყავთ?

— როგორ არა, მაგრამ...

— მაკამ ას, საჭიროა, მას სიბინძურესთან ჰქონდეს რაიმე კავშირი.

— თუ კი საქმე სიბინძურესთან კავშირზეა, მაში მიირთვი, „ცონბილი ჰელლიცისტი“, ბ-ნი ტ—ძე.

— რა მოსაზრებით?

— მას ხომ პარონ გოთუასა და მის გაზეთთან აქვს კავშირი!

— შეიძლება, აი ეს შეიძლება!

— მართლა?

— ითქვა, გათავდა.

— მაში გორგი ამირაჯიბსაც ინებებთ, არა?

— საბუთი?

— განა არ იცით რა მჭიდრო კავშირი აქვს თავად-აზნაურთა საკრებულოსთან? იქიდან „პოსბი-ებს“ იღებს ვალის სახით თავისი გაზეთისათვის.

— საზამთროს ქერქებს სჭამენ?

— საზამთროს ქერქებს არ ვიცი, მაგრამ ხეჩა-ტუროვი და ჰერი გელეიშივილი კინალამ შექამა.

— სულ ერთი! შეიძლება!

— ვაშ ხეჩატუროვსაც მიიღება ა?

ხოლორის საშინალო გააზრიალა. შევატყვე, რომ მეტის-მეტათ არ მოეწინა ეს საგანი.

— ეს ნამეტარია, ბ-ნი ეშმაკო! გოთხოვთ განმათვისუფლოთ ამ ძლევინისაგან.

— თქვენი ნება, ძალა ვის შეუძლია. მაში ისევ ჩვენი ლექტორები და ლექტორები ინებეთ. ამათზე უკეთეს ულუფას თქვენთვის ვერავინ შეამზადებდა.

— რასა სჭამენ?

— მხოლოდ უშინაარსო სიტყვებსა ლექსენ.

— მაში შეიძლება.

— ისე რაჭელს არ ინებებთ?

— უ...უ...უ...ჰ!

— რა ამბავია?


— მეზიზლება.

— კოწია თუმანოვს?

— ვაიმე... მიშვი...

ვეღარ მოასწრო სიტყვის დათავება, ისე უცირივ განუტევა ტანჯული სული სბრალო ბაცილამ ამ „ქართველი მოღვაწის“, ხსენებაზე. კაკალი გული დაწყვიტა იმისმა სიკვდილმა.

საუკუნო იყოს ხსენება შენი, ჩვენი ცხოვრების უდრიობა მსხვერპლო! ვინ იცის რამდენი კეთილი განზრავა, რამდენი აუსრულებელი სურვილი ჩაიტანე თან ცხელსა და მტვრიან სამარეში.



ՃԱՌՈԵՑՈՂՅԱ.

(Նպիսո՞՞ և առվեղը ըստ)

ՄԻԿ-ՇԱԿՐՈՒՏԵՎՐՈՅ-

მაგრამ მოვა დრო და მაღლიერი ქალაქის გამგება ჩამოსახებს შენს გაუივებულ სამარეს: „ჩვენ გავიმარჯვეთ, ნეტარ იყოს ხსენება შენიო!“

ეშვაკ.

\* \* \*

თმა ხუჭუჭო, მშვენიერი, პატარავ, ჩემო ძერი, ჩემო კარგო, ლამზო, გრძნობის წყაროვ, ნაცალულო ანკარავ, გაზაფხულის იავ, ტურფავ და ნაზო!

თავი მძიმეთ დაგიხრია, მღუმარებ, კდება გმოსას, მწარედ მოგიწყვნია... აშშუოზე დარდს ეხსენ, ნუღა მწუხარებ: მომავალი ბრწყინვალე ხომ შენია.

მერცხალო კრება აეღლურტულ-ამღერდება, მწვანედ მორთულ ტურფა არე მარეში და სიცოცხლე კვალადვე აძგერდება მრავალ ტანჯულ შენს სამმობლო მხარეში.

მაშ, ზორს ფიქრი! სევდა, გულის მქენჯნავი, ნუ მდუღარებ ნუღა მოგიწყვნია, აშშუოზე დარდს აწ თავი: დაანგებ მომავალი ბრწყინვალე ხომ შენია!..

გამიღიმე, ამიყავე იმედი, გამიმრავლე სამაისო ვარდები, და გამიძებ წინ ამაყად, ვით გედი, განმიქარვე გულში მწვავე დარდები.

თუმც იმედი ჩემს გულში კვლავ ნაპერწყლობს, მხოლოდ მტანჯავს შენ რომ მოგიწყვნია, მართალია, აშშუო ჩეენ არა გვწყალობს, მაგრამ, გრწამდეს: მომავალი ჩეენია!

მშვენიერი! ნუ თუ შენი ტრუიალი გულ დაწყვეტით უნდა იღეს შენს წინა? კერ ამჩენევ, რომ სევდის მწარე ფაილი შენს უდემშ იმის გულსაც შესძინა?

გაშ, მოვსპოთ ეგ საბინდ-ბუნდ აზრები!.. ცა გარიერაეს უცვე დაუმშვენია, ჩეენც შევსახოთ აწმოს: „რად არ ჩაპერები? გზა! გზა!.. გესმის? მომავალი ჩეენია!“

### 5. ჰომლეოლო.

თ ა რ ი რ ა ს მ ო ს თ ძ ვ ა ს ს ..

ადმისაგლეთის მოტავებიდან  
(თარგმანი)

მომავედავი მზის უკანასკნელი სხივი მიდა-  
მოს ეთხოვებიან იქ, სადაც მზე გორეს იქით გა-  
დამალულა, ცა სალამოს ელვარებას შეუღებავს. პა-  
ერი სულ შეხუთულია, მიწის სურნელებით გაეღენ-  
თილა. საგაზაფხულო ნიავი სასინებს. ირგვლივ დუ-  
მილია. ყრუ დუმილში ბუნება თვალს აღვნებს სი-  
ნათლისა და სიბნელის ომს, სიღვაც გამარჯვება მო-

მავალ ღამეს უნდა დარჩეს. მხოლოდ ბულბული, ეგ გარდის სამარადის ტრიალი, უმღერის მას უკა-  
ნასკნელს სიმღერას, აღსავეს აუსრულებელ ფიქრე-  
ბით, დაუკმაყოლილებელ სურვილებითაა.

— მშვიდობით დილამდე, სანამ კვლავ არ გა-  
მობრწყინდება დღის მნათობი!..

ყვავილთა დამათრობელი სურნელოვნება იგ-  
. რძნობება. სახერთის სალამოა. გაზაფხულია. სული  
აღსავსა იღუმალი მისწრაფებებით, დაუდეგარით,  
მარად მღელვარეთი. ღელავს მთელი არსება. რაღაც  
გაკლია... გრძნობ. წარმოდგენა ჰქენის გაურკვეველ  
სახეებს—გონების წარმტაცთ და საუცხოვების. გუ-  
ლი მგრძნობიარეა, მას ესმის წარმტაცი სიმღერა  
ახალ ცხოვრებაზე, რომელიც დადგება უხილავ ძალ-  
თა ნებით....

...კმარა, ბრმავ, სევდინი ხმები შენი თარისა,  
სულის მიხუთავენ, ხოლო გაზაფხული მშვენიერია.  
რაღაზე მოთქვამს ეგ შენი თარი?

— გესმის, კაბუკი. მე შენ გიმღერ სიყვა-  
რულის შესახებ, რომელიც მარად ხუთმეტი წლი-  
საა, არ კი ბერდება. ისმინე.

— კველაფერი ის, რაც ღმერთმა შეჰქმნა, მშვე-  
ნიერია, სიყვარული კი—უმშვენიერესი.

„იყო ვინმე მექანდაკე, სახელად ფარხადი. სა-  
ტრაფომ ჰკითხა მას:

,რათ არ აკეთებ შენს სახესა? მე მას ისე შე-  
ვიკარებდი, ვით თვითონ შენ.

,შენ მხოლოდ მე უნდა გიყვარდე.

,როგორ, ქანდაცში გაგცვლი გგონია?

,დიახ, ვერ განდობ მე იმ სამოსსა, შენ რომ  
ატარებ, ყვავილს, რომელიც ხელში გიჭირავს, დე-  
უამიშასა, სად იარები, წყლისა, რომელსაც სვამ,  
ჰერს, რომელსაც სუნთქავ, ღმერთს და მსოფლი-  
ოს ვერ ვანდობ შენს თავს, ჩემსა სიყვარულს.

,კველაფერი ის, რაც ღმერთმა შეჰქმნა, მშვე-  
ნიერია, სიყვარული კი უმშვენიერესი.

,კეზირმა უთხი: ერთხელ ბატონსა:

,მეფე მეფეთა დამწუხრებულა. ნუ თუ ასე  
ღრმაა იმისი ტანჯვა?

,დიახ, მე ვარარებ გულით მძიმე ტვირთსა,  
სიყვარულს, რომლის პასუხი არსათ მესმის.

,კველაფერი ის, რაც ღმერთმა შეჰქმნა, მშვე-  
ნიერია, სიყვარული კი უმშვენიერესი.

,მეჯულმა ქუჩაში ძალლს აკოცა.

რასა შეძები, სულელო?

,ეს საყვარელი არსება ხურად იარება მშვე-  
ნიერ ლეიილს კარებს ახლო.

,კველაფერი ის, რაც ღმერთმა შეჰქმნა, მშვე-  
ნიერია, სიყვარული კი უმშვენიერესი.

,ის წმიდა მქადაგებელი იყო, მაგრამ საზიზ-  
ლებმა უთხებს მას:

, „შენ ახალ სარწმუნოებაზე გვეუბნები, ხოლო თითონ შავ თეალებიანი პერი გიყცას და ტირი.

, ჩემი სარწმუნოება, ცრემლთა სარწმუნოებაა და სარწმუნოება სიყვარულისა.

, „ყველაფერი ის, რაც ღმერთმა შექმნა, მშვენიერია, სიყვარული კი უშვენივრესი.

, „ბრძენ ხალიფს უთხეს—შენმა ასულმა თავი მოიქმედაო, ოდეს გაიგო სიყვდილი ჯახანგირისა, ყველაზე უფრო ლამაზ გაექაცის.

, „და კიდევ უთხეს:

, „ერთად-ერთი შეილი შენი არ ცოცხლობს, რადგან გიულუზა სულ სხეს მიჰყვება.

, „სულელნი!— სოქვა ხალიფმა, ხოლო ღმით კი უთხრა დედაბერს, მასთან მოსულსა ზეინაბს ესა.

, „უთხარ ზოგიდას, კვდები სიყვარულისგან. ცხოვრებასა და ქვეყნის ქონებათ მე მივსცემდრ იმ ბელნიერებისათვის, რომ იგი ჩემი იყოს. ესმის, დედაბერო, ოქროში ჩაგსვამ, თუ მას გარდასცემ ჩემ. სა სიტყვება.

, „ყველაფერი ის, რაც ღმერთმა შექმნა, მშვენიერია, სიყვარული კი—უშვენივრესი.

, „კაბუკი, შენსა წლოვანებაში თავსა ჭალრა აღარ ამშვენებს, და სარო ტანი, სწორია ისე, ვითა ქადარი. მათა დაპარეგე? ან იქნებ დედა? მა? იქნებ და?

, „მაგრამ გამოუთქმელად დასევდიანებულ თვალების გამომეტყველება ამტკაცებს, რომ შეებარებული ხარ.

, „ყველაფერი ის, რაც ღმერთმა შექმნა, მშვენიერია, სიყვარული კი უშვენივრესი.

, „ის ქალიშვილი, შენ რომ უმღერდი მშვენერ ლექსებს, გარდაიცვალა, ჩვენ პოეტო.

, „დავნატრი იმათ, ვინც სასაფლაოზეა.

, „ყველაფერი ის, რაც ღმერთმა შექმნა, მშვენიერია, სიყვარული კი უშვენივრესი.

, „შენ ფრიად მხიარული ხარ, ტუსალო, ხოლო საპყრიბილე ხომ იგივ საფლავია.

, „დას, მაგრამ ჩემი საფლავის ფანჯრიდან მე ვხედავ მეციხოვნის ქალს. იგი თავს მიქნებს, ვითა ქურციე. თვალნი ბრწყინვენ, ტუნი ჩერჩულებენ სიყვარულზედა..

აი, ქაბუკი, სულის გიულუ ლტოლვილებაზე, გულის შეუზღუდველ მისწრაფებაზე, ფერმქრთალ ლოყებზე, ჩამჭენარ თვალების ჩამჭრალ სხივებზე, მაშვრალ სხეულის წვალებაზედა, მოხუცებულის სევდა და ფიქრზე, და სიყვარულის მწვავე, უხილავ ცრემლებზე.

მოთქვამს ეგ ჩემი ქანრი!

## წყეული ქვეყანა.

(სკოლულების)

აქ სქდად გაზრდილ ჟავაღილ გუნდი ტბისა სიგანები, უშხო არას, გთ სიგდედი, და უფერებენი. შეთ იშვიათად გააიბობენ მზის თქრის სხივი, ღრუბებს და სისლში დაიგრუდნი, გადაჭრიდნი.

უერადებს თხოვებ წემი სეგდით უგავდინ მზესა, უფერებ მასს სხივსა ნისლი ახსობს და უნდოთ ჭრობს. ირკვდივ უკავილენი ოფით სიედილზე უფრთ ჭებიან, მხოლოდ ის ერთი, სულ ქვეითა წითლად შრიადებს.

მზისა სივები შას როდეს არ მოსეჭნაა, მგრამ უფავის ის შედილურა, თოთქოს რისხვითა.. თუ, ფის ვერადი მას მზით სულაც არ მიუდია, არამედ მიწო, ნიჟირით გაც ა სისხლითა.

ჩა მანი.

## დ ე პ ი ზ ე ბ ი.

(ჟევარების საცნობოს)

ბათუში. ხმები დადის, ვითომუ, ქალაქის თვით-ბართველობა ხოლერის ჯეროვან შესახვედრალ-არ ემზადებოდეს, ტყვილი. დანამდვილებით გავიგეთ, რომ ხოლერის სასერინო უფასოთ დაეთმობა ალექსანდროვის ბალი, სადაც „ნურიაგელის“ ტბაში მობინადრე ბაყაყი უფასო განუწყვეტელი თრუსტრით დაატყობენ მის კურთა სმენას.

აქმანებ. მეცრამეტე საკუნეში დაწებული ქართული ეკლესია, როგორც იქნა მოთავდი. აკლია მხოლოდ ჯერ-ჯერობით სულ რაღაც სამრეკლო, გალავანის მოსრულება, მხარევრობა, გარეთ შელება და ნახევარს ზევით წაშენება.

იქიდანვე. გაზეთ, „ბატუმსკია იზედსტიას“, რედაქტორი ჯარიმის გადაუხდელობისათვის, ერთი თვის ოთხ-კუთხეს შუა უქმად გაჩერების შემდეგ კულავ დაუბრუნდა თვის გაზეთს.

იქიდანვე. ბათუმის საურთი-ერთო ნდობის საზოგადოების დარექტორის დაცლილ აღილზე დაეტევენ ბ. ბ. ანდრია დეკანოზოვი და ნიკო ჯაველი. ბ. დეკანოზოვს სეკურიტათ აურჩევა ბ. ს მდივანი, მხოლოდ ბ. ჯაველი—ვერ ვავიგეთ ვან. დეკანი მოხდება 27 ივნისს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ურთი ერთთაოვის თავ-პირში კენჭების დაშენით.



## ს ა ლ ა კ ბ ო.

I

გაუმარჯვოს ხოლებას! მობრძანდი შენი ჭირიმე, ისე დაგოვდებით, რომ უყოფსი აღსრ შეიძლება. მოდდა, ჯან, მოდდა, დაგავიწყებით შენს სამზობლო აზიას.—მობრძანდი შენი სულისა, „სამკალი ფრიად არს“, მკელებდებს კი მკლავი დაედლათ... ხალით კა, ჩვენი ხალით ისეც კოტხალა... შენც ხომ შაგი ხალით გიყვარს, ჩემი ხალერა? მოდი შიგვიღე, შეგვიყარე შენს კალთებს ქვეშ—მოგვაცევნე—გვეყა, ამდენი ტანჯავა ვაება... გვეყა, გაკიცხული, გაჯაზინებული სულის კიბილთ სატყენა. გვეყა ჩვენი შეილების უ-მზილით სულის დაფინის ქერძია. გვეყა სიმზილი, სიყმილი, ტყვენა, და ვაი, ვაი! მოდი ხოლერა, მოიდე შენი მცრელი ცელი, მორჩი და მოგვარჩინე. დაწმუნდი ხოლერაჯან, რომ ვერ შევვაზინებ, „რაღავან ერთხელ სიყვილი სხომია მრავალგზის დანანებასა“.

მოდი ჩენი ერთად-ერთო იმედო, წევეში და სიხარული. მოდი მაგრამ ფრთხილათ იყავა... კისერი ასეად წაიტენა. ზომ იცა, მომრევეს მომრევა არ დაილევა, მჯობის შევიმნი არ გამოწყობება. ჩენც გვყვანან ჩემო კარგი, ისეთი დელიკანდები, ისეთი დევ-გმირები, რომლებთანაც კიდილი ხელს არ მოგცებს. არ გირჩევთ ჩენი ტკბილო ხოლერა, იმრეოთისენ დაკირი, „მარზუტი“, არ გირჩევთ, რაგან ზედ „ქარისიაზე“ დაგხვედება გიორგი მეჯოგეთ უზუსეი, (ძევლათ ამილაზვარი) დაგხვედება თავის ქეს ფეხა ხროვა — ჯავით დაგხვედება და ვაი შენი ბრალი. არ იფიქრო დეისელები და ჩრილელები შენ დაგანქანს, ეს იმათი მხსერ-პლია, მისი ზვარავია, ხელი იიღე, თარებმ გიორგის რომ მაერიო, კოლია წაეზველება და ვაი შენი ძელების ქახა-ჭები, ვაი შენი „დახვანული“ კბილების ბრალი. ერთდე ბიძავ, ერთდე — ერთდე ჩემო ლაპაზო, მცვლელებას — თუ ვინმე სუქან კანკიანია სასიკვდილო, ისინიც კარგად მოინელებენ, მაგრამ ჯერ უტევე, დრამა ფული აქვთ სახელითა დეთისათა მოსამოჭი. ერთდე ბიძავ ქუთასის, რა უნდა დაკალო შენ მას შენი ცელით, როცა მისოცის ერთაური დაუკლია 90 წლის განაცლობაში დავით ნიკარაძეს თავის რხმალით. არ შეიარო კიათურაში — ცეკვილი ხარჯია — იქ ისეთი ყოჩალი რეინის მუშებია, ისე ჩაშევეულია ყველა, რომ შენ თვითონ შეეზინება. რის მაქინი ხარ სამტრედაში — რა შემოსავალი გექნება იქ, სადაც ჯაზის ლოცვა-კურთხვით ნიკურაძე ექიმ-ბაშიობს — იქ შენ რაღა საგირო ხარ. თუ მინდამინც ხონისაკენ წაგვიდე, იგანე შარაშიძის „არიპუსი“ ზანიძმდებარე, მაგრამ ვერც იქ გადღები რამეს, იღავ ბარაზადე ლექციის შა-დრევანს შეგიშხაპუნდება და ერთან მოგამობა.

ხონიდგან კუდა-ამოძებებულს სამტრედაში „დელეგატ-სკი“ პოუზდ დაგხვედება ყოთილგან — ძრიველ გულით მიგიპა-ტიუქებენ — მაგრამ ჩემო იმედო, ფრთხილათ იყვა, ნიკოლას ქეშ არ გიმიმანის, მისებური კვანტი არ ამოკრას — არ გირ-ჩევ წახვედე თუ ის ვოთში იქნ, თუ ჰერებრუგრუგშია და გუ-ჩევის ზდანოვისებ ემუსაიებებს, მაშინ ნუ გეშინა, გასწი პირ-დაპირ, ნიკოს მაგირ ითანა დაგისცდება. მართლაც გაუხარ-დება შენი სტუმრობა, რადგან შენი დარბაზობის შემდეგ ბევრის ნეკროლოგი ექმება დასაწერი.

თუ არ დაგზლია და ვოთში შეხვალ, ფრთხილათ იყავ, ვაი თუ ბარამიძეს მისი გაძვალტყავებული მუშა ეგო-ნო და გუმოს. კრიდე „ხარატუსტრა“ ურთხილათ, თო-რებ ჩაგირუტ ულებს. მართალია ვოთში, ჩემ სულის კალო-უო ბევრი საჭმე გექნება, მაგრამ ბევრსაც ნუ მოიცილი, შე-მოყვავ გურიისაკენ, გამოიარე მალთაყვა-გრიგორეთს, მერმეთ

ურ, ხილოთ იყავი, არ დაგვებოლ ტელემაკ გურიელის გაბურ-დნელ თავს, ან და „ზურაჩინ“ სტუდენტი ვანოს დაბრეულ ტვინს. ერიდე მეტადრე ვანოს, თარები ის ძრიველ საშიში კაცია, ზენ კი არა, ლვიძლის დარღმაბა არ იცის, ლვიძლის... სულფაში ნავის მაგირება ჩაჯეპი მარატელში და ჩაბრძანდი ბათუში. მაგრამ სჯობს თავი დანებია, ენდე ჩემს ჭალარას, იქ უშენოდა კა ხანია სასაფლაოა. თუ არ დაგზლია და ესტუმრები, ცოტლებს ბევრს ვერ ნახავ, ჩინკვაძის შეშით მიმალულებია — მიბრძანდი სასაფლაოზე, იქ მეორე დაგი-ხვედება, შემ-იგრივებენ მცდლები, გეტუვიან, რომ იმ-თაც საკიტოს დრამა ფულს ახდევინებენ და რადგან ფული არავინ ჩაყოლა საწინდრა: თე ბევრები და გვირგვინები მიავჭოთ — მა-გრამ ეს არაერეა — მრიუყს ვერ მოუხმირი, ღმერთმა შე-არგოს კევიანსო.

ნუ დალონდები ჩემო სულის კოკოჭინა, ჩემი ხოლე-რა — მართალია ბათუში ვერაცერს ნახავ საკბილოს, მაგრამ სამ-გვირო კულება გაიჩინს გასწიო გურიისაკენ, მაგრამ მო-ტუგვები ჩემო ძამია, გურია კავა, ზენ მას კერას და-კლები, ის ნაწროთმია, მან ბევრ უმს და ხოლერას გაუძლო და დღესაც უძლებს. ზენ რას დაკლებ ჩემო ბიძია იმ კუთ-ხეს, სადაც ძამი დღემანები დაბაზნენ, ზენ რას უნძ იმ ქეცენას, ვინც კრილოვ-ტოლმანივები მოლოცს გაუძლო და დღესაც უძლებს, მ-გრამ ვის დიას არ გეტუვი, წალი ნახე, გაყანი, ს-თითაოდ გადაკოცნე... ზენ მოჰკლავ თუ ზენ მოგებენ, მე იმილოვა არ დალონდე. მნილოდ ერიძე ასლად გ-თავებულ „გაგლავებულ“ პლატინ ბერიძეს და მია სანიტარულ რეის ხეოქილს. ასე ჩემო ხოლერაჯან.

დაგშიუები შარიდ შენი მოსიუკარულე აყიდა.

## ს ი მ ღ ე რ ა.

დე, ჩემ ქოხსა ქარიშხალმა გადაუფხრიშოს სახურავი, დაუნგრიოს კარ — კედლები, — მიაყნოს საქმე ავი. სარეცელში დედა-შშობელს, ძრას სიზმარში ვყავდე შვილი, გვერდით მჯდომი, მოალერსე, არა სახე დაღვრემილი, ნანგრევებ ქვეშ ამოაძროს სასიცდილოთ საწყალს სული, არ აღირსოს ჩემი ნახვა, ჩემით ტკბობა სიხარული.

დე, ჩემ ცაზე ცხოვრებისა სიხარულის მზე არ სიანდეს და მთვარე, ვარსკლავთ კურება იმედის ველს შუქს არ ფენდენ, ჩემს გარ-შემო ბნელების ქე თავისუფლად თარეშობდეს, „გავმარჯვებთ, გავიმარჯვებთ!“ შმაგათ თავზე დამძახდეს, გარსკლავთ მოკლეს საშიშოს სული, და დემონი ჩემს ტანჯაზე გადასავა, გარმონი ნახვა;

დე, ზღვაზედა ცხოვრებისა  
ჩემს ნაეს ანდა უტყდებოდეს,  
მხოლოდ მე კი-მხნე-ჯომარდა  
ხელში მაგრად ხოფი შქონდეს,  
და ბოლაზი ჩემი ნაეის  
არ მოსჩანდეს, არც ჩნდებოდეს,  
არ შედრკება ჩემი გული,  
ხმალს ქარქაშში არ ჩავიგებ  
და შებრძოლის შესაფერად  
სასიცვდილოდ თავს დავიდებ!  
არ ვიტირებ, არ ვიკვნებებ,  
ცრემლი ვაჟ-კაცს არ შემუვენის  
და რაც ვწყველო ჩემი ბედი,  
ჩემ ცხოვრებას არ უშველის,  
თუ რომ ჩემებრ დაჩგრულთა  
ძალას ძალა არ ვახმარე,  
ჩემი მოძმე, ჩემებრ მონა,  
მომავალით არ ვახარე.  
მრწამს, მრწამს მალე განთიადი  
დღის სინათლეს გვამუნობს ახლოს,  
მაშ, მაშვრალნო მედგრათ, მედგრათ,  
რომ ცხოვრება გავგენახლოს!

ს. ჭურიძე.

დ მ პ მ ჟ მ ბ ი.

(უსახელოს სააგენტო)

**ნიგოზით.** ქვინის მლელელმა, მამა იუეფანემ, გასული წლის დრამა არ მიიღო და რაღან მთავ-  
რობამ ძალად მიაღებია, ქველ-მოქმედებას მიმართა:  
ეს „ძალად“ მინალები ფულები ერთხაშათ ქვინის სამეოთველოს შესწირა და ამით იმისი საქე ძლიერ წინ წასწია. ამბობენ: პატივ-ცემული მლელელი წელ-  
საც იმ ქველ მოქმედებას განიმეორებსო.

**იქიდანგვ.** მესალგურე კირილე ქანქარიძე სრო-  
ლაში ვარჯიშობს. ამ დღეებში ვარჯიშობის დროს შემოამარტება ერთი თავისი ამხანაგი. ამის გამო სა-  
დიდურის ყველა მოსამსახურებში ძლიერი გორგა  
არის.

**იქიდანგვ.** ვანო ქეშმარიტ-კავშირაძეს კირი-  
ლესთან უთანხმოების შემდეგ, ტალმაჩევის ლანჩეუ-  
თში ყოფნის დროს აღებული კეთილ საიმედობის  
მოწიობა აღმოაჩნდა. ეს ნიშანი უბეში მალეის (თუ  
ფრთხილად შენახვის) გამო ძლიერ დაზიანებულა.

**იქიდანგვ.** ძიძიგური, სკუნადარის.

**იქიდანგვ.** ცნობილი ლიტერატორი ტ. ართ-  
შელაძე საზაფხულოდ ჩამოვიდა. ამბობენ ორ თვეს  
დედათა მონასტერში გაატარებსო.



გ ა ს ტ ვ ი რ უ ლ ი.

(ძველ სკანდინ ბანკის გამგეობისა და მის მოიჯარალო  
გაჭრების საგულისხმოდ)

ერთი წელია მას აქეთ,  
რაც სტვირს ავალე ხელია,  
კუთხეში მივდე, რამეთუ  
მისალა გამომელია.  
მაგრამ დღეს ისევ დამჭირდა  
ეს ჩემი გულა ძველია,  
ზედ მინდა ჩავალილინ  
ორიოდ სიტყვა მწველია...  
მსურს რომ შევამკო ხმა ტკბილად  
ამხანაგობა ჩვენია,  
რაღანაც იმათ პირბას  
კული რომ გამოჩენია.

დამჯდარან, ერთად მოყრილან,  
ეგ ჩვენი ბანკის გმირები,  
დავიწყებიათ რაც ქონდათ  
ხალხისგან დანაპირები...  
გვერდში მოუსხამო ვაჭრები  
უძღომი წურბლის პირები,  
და მათ გადასცეს იჯარით  
ფარდული, გინა ფულები;  
და უთხეს ვაჭრებს: თქვენ თალეთ  
ამ წელში ბანკის „დუმაოზ“

არ გამხილოდ მხოლო კი,  
პირობა გქონდეთ ჩუმაო...  
პარკი იყიდეთ, როგორც გსურით  
და გასჭრას თქვენმა გულმაო,  
არ-კი გაიგოს ეს საქმე  
ხალხიდან მავნე ყურმაო;

— უდღეოთ გამოქექილი  
— ძეველი სენაკის ვაჭრები,  
საქმეს შეუდევე ერთგულათ  
რციან ესე დარგები...  
შემოიტანეს სოფლიდან  
ნატანჯ ნადაგი პარკები,  
წინ შეხვდენ კულის ლაქუცით  
მოიჯარადრე ვაჭრები,  
ერთი ათს ძალებს,  
მეორე, ათი შაურით მეტია,  
მესამე თერთმეტს ასრულებს,  
ეს გერასიმე ტეტია,  
სამივე ამხანაგია,  
სამივე ფულიხვეტია,  
წონისა მოტყუებაში  
ქება არ უნდა, შეტა.

ხალხმა რადა ქნას, რომ ნახა  
ბანკი ვაჭრებზე გდებული,  
შორს წასელას ისევ არჩიეს  
აქა დარჩენა ვნებული,  
ვაჭრებმა ხელში ჩაიგდეს  
ხალხისგან შემოლებული,  
წონაშიც ბევრი ივარგეს  
და ფასიც ბევრათ კლებული.

ძმაო ეშმაკო, შენა გთხოვ  
მოხედო ჩვენსა ქირებსა,  
და დაუარო მათრახოთ  
ხალხისა გამამწირებსა,  
სათითოულოდ უშუშხო  
პირველად ბანქის გმირებსა,  
მერჩე მიყევი ჩარჩ ვაჭრებს  
სულითა დანამცარებსა  
რამოდენიმე კაცია,  
ვაგლახათ ლესენ კბილებსა,  
დაბალსა ღობეს ექებენ  
ჯიბისა გამათბილებსა ..  
ამათ გადაჭარ მათრახი,  
გაფიცებ შენსა შეილებსა.  
ამათი ზურგი აიტანს  
არა ერთს და ორ წყვილებსა.  
ნახურისპირელი.

8 9 6 8 0 6 7 4 0.

ვერ გავექეცი, არ იქნა  
ამ ოხერ ბედის წერასა,  
მოელი დღე ოფლში ვიხარშვა  
მაინც ვერ გავხთი ვერასა,  
სჯობს ისევ სტვირსა მივმართო,  
ჩავდერო ჩემებურათა,  
გულში ჩახოვას სჯობია  
დავსძახო ძევლებურათა.  
ან და კი ძალმძხს განჩუმდე  
და არ ვამღერო სტვირია?  
ქვეყანა დალაგებულა,  
ძილისპირებს სჭირია.  
გლეხები მორიგებიან  
ბატონებს მთა და ბარზედა,  
კურტნით უზიდვენ ნახევარ  
ღალას, ბედელის კაზზედა.  
„ლაქიათ“ გარდაქცევიან  
მუშებ ხაზენებსა,  
ოღონდ ღასტოვონ აღაგზე  
ღამეც არ დაძინებსა.  
სულიერ მამებს ცხოვარნი  
ისევა დაუბრუნებსა,  
მატყლს კრეჭენ, მსუქან ზურგებზე  
ავარჯიშებენ კბილებსა.  
ერთობის ასის თავებსა  
კისერზე ჯაჭვი ჰეილა:  
სამართალი და სინდისი  
გროშებზე გაუყიდია.  
ზოგნი მწერლებათ შემძვრალიან  
ენა ჭარტალი გმირები,  
გუშინდელ ამხანაგებსა  
დღეს მათგანჭევიათ ვირები.  
ნათელი რაზით გაშავდა,  
შავი ხომ მაინც შავია,  
გუშინ რომ მტრებსა ეპრძოდა  
დღეს მისი მუურავია ..  
მასწავლებლებიც დაქანდენ  
უსაქმით დაყიალობენ,  
ბევრ მშვიდობიან ოჯახებს  
უკუღმა ატრიალებენ.  
ეგზეკუტიათ გარდიქცენ  
სოფლისა ბიჭ-ბუჭებიო,  
დაძრწიან კარისკარზედა  
ვით უმწყესური თხებიო.  
უბრალო ნაცვალ ყარაულს  
თავი რალაცა გონია,  
კაზკ სტრაგები მაგაზზე  
სანატრი მოსაგონია.  
ცნობილი ავაზაკები  
საქმეს უდგიან თავშია,

და მართალი რომ წმოგცოქ  
მჯილი მოგელის ყბაშია.  
ხმას არვინ იღებს წინაღმდეგ,  
კმაყოფილია ყველაო,  
შტრებს უხვად მოსდით სამკალი,  
გაისმის რომელია.  
ამ ძროში ვიღის რათ უნდა,  
სტეირზე სიმართლის მდერაო  
ჩავჩუმდე მიჯობს, არ მინდა  
ამიტყდეს ხათაბელაო.

შბანკოლა.

## ხონის რამე-რუსი.

წარმოიდგინეთ წარმოუდგენელი! გვშინ წინ,  
ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ხონში გამომეტ-  
ლვიდა. დალაცხრის, ლახებრის მცყრობელმა! რა მინ-  
დოდა აქ, ანგელოზთა საგანეში, ვყოფილიყავ იქ  
სადაც ვშობილვარ, გავჭრილვარ. მარა ვიღებ რა  
შეცველობაში. ა) რომ დღეს პოლიტიკური წომენ-  
ტი ხელს არ უწყობს შეუკრიფებლობას. ბ) რომ  
ძალი ჩემი დაქასისულ არიან. გ) რომ ხონიც, ასე  
თუ ისე, საინტერესო დაბაა, —მეც უურიგდები ჩემს  
მდგომარეობას და მოვალეო კრაცხ ჩემს თაგს, გა  
ვეცნა აქაურობას. —დიახ, რეზოლუციაა ასეთი და  
ზეც სისრულეში უნდა მოვიყანო. დავიწყე ბაზარ-  
ბაზარ ხეტიალი. ვხედავ ერთი ხანში შესული გვა-  
ში მობრძანდება; გულზე კიუთი ინსპ. გაენიკავის  
სურათ და ლევიცის, „კურსი“. ლოგოურის სკვით  
დავასკვენი, რომ ეს გვამი მასწავლებელი იყო და  
მასთან თანახედროვე პედაგოგიკის უკანასკნელ სა-  
ტყვით გულს დაკრინებული. თან ეს გული რაღა-  
ცაზე სწრდა, ჩიოდა. გაცნობა მოვინდომე. წარუ-  
დექი, წარმომიდგა.

— „ალექსანდრე მაქარაძე გახლივართ!“ მომა-  
ხალა. მეც მიეკასუხე.

— უმაწვილო, წარმოიდგინეთ ჩემი ტრაგიზმი,  
იმ რაშია საქმე. განხეთებში დამიტერეს, ვითომ ქარ-  
თულს ვავიწყებდე ბავშვებს და რუსულს ვაყვარებ-  
დე. ტყვილია, არ დაჯეროთ! მინდა უარყო ესა,  
მარა როგორ იღია ვიცი: თუ ვსთქვი კი ვასწავლი  
ქართულსთქვა, —დირქეცია და მთავრობა დამეტე-  
რება, თუ დავადასტეს კორესპონდენტის ცნობა,  
შეშინ ხალხი მიბლვერს. რა ვქნა არ ვიცი, საშინელ  
მდგომარეობაში ვარ“..

ასეთი მუსაიფი გამიბა ამ გვამმა, მარა რაკი  
შევატყე, რომ გლახაჭრიაშვილივით სიტყვას ბო-  
ლოს ვერ მისცემდა, მე ვუსამძიმრე და გაშორდი.

გავიხედე, რამდენიმე ქალბატონი, თაგს ზან-  
ტყვილერის შლიაცებით, სადღაც მიიჩქარებიან. უცებ  
ერთმა მათგანმა ყურადღება მომაპყრო და ჩამილა-  
პარაკა:

— ყმაწვილო, იქედან ერთი ფრიად და ფრიად ნა-  
ყოფიერი პედაგოგი ვადაყავთ.. ჩვენ მოვახსენებთ  
ინსპექტორ გემელმანზე, რომლის შესახებ ამას წი-  
ნეთ „ფონში“ და „ტროებაში“ რაღაც ჭრებს  
სწრდენ.. ქართულ ენას, პოლიტიკაო და სხვა. .  
გაიგბდი აღბათ.. აი გადაყავთ და პატივისცემ სა  
დილს პუკეთებთ — მიეკიდეთ მონაწილეობა.

მე, რასაც კირველია, დავეთანხმე და ერთი ლო-  
ყიანი ქანქარი ვიშვლიქე. იმათაც გავშორდი, გულ-  
ში კი ვსთქვი: მარქვი ძალნა ბუნებისანო! რიო  
აისხება ის, რომ ქალთა გული ყოველთვის ლო-  
ბიერება ტანჯულთა და დევნილთ ამა ქვეყნისა, მო-  
ვიგონე გამელმანის წინა მოადგილე სოლოისკი,  
რომელსაც კა გაყოლა ქალბატონები ყავდა თაყვა  
ნისტცემლებათ... და განვაგრძე ხეტიალი.

გავიხედე, რამოდენიმე ბავშვი ისე პორტკუო-  
ბენ, რო გაძებათ. გამოირკა, რომ ინსპექტორ  
მამალაძეს დაეგბარებია არ დადევების დაწესების: ილა-  
პარაკეთ მუდამ რუსულათ, ქართული ისედაც იცით  
და ისე გეცილინებათ რუსული, როგორც ჩემნა  
მარინეს სასწავლებლის ბავშვებმა... და ბავშვებიც  
გულ მოდგინეთ ასრულებდენ ამ მამაშვილიტრ და-  
რიგებას.

მივდივარ — ვხედავ რას ვხედავ. შერენგა მა-  
წავლებლებისა, ბრწყინავს ყვითელი ფოლაქები,  
ბრწყვიალებს კავარდები... კინაღმმ თვალი დამიტსო  
სხივთა ტყვირუნამ. . დასწუყვლის ალამა! რა უბე-  
დურ ფეხზ ავლენ ყველგან მასწავლებლები და  
მასწავლებლები! მოვარდა მაგათი სახსნებელი, ნუ  
თუ სხვა არავინაა ხონში?

ი აგერ ერთი ჩაკოლოტებული ყმაწვილი მო  
გორავს, სანგარიშო ჩიოთებით დატვირთული. მა  
დლობა ღმერთს, ეს მაინც არ იქნება მასწავლე-  
ბელი.

— ნება მიბოძეთ გაგენოთ, — დაიწყო მან:  
გახლავარ ვაჭარი — მეტარნ-მედოშე იასონ პავლი  
ჩერკელი — ანუ პილატე. . ერთ დროს მასწავლებე-  
ლი ვიყავი, ეხლა კი .. „დასწუყვლოს ეშმაკმა, კი-  
დევ მასწავლებელი, წმოვისახე და გავიქცეცი. მეს-  
მის, იძახის ვაჟი! ეხლა რეჩებს ვამბობ, სენატორებს  
ვესალმები ვაჭრების სახელით... წყეულია მასწავ-  
ლებლობა... წველ დასამინებლათ. თუ ხვალაც აქ  
გავიღოდე, იღბათ სხვებსაც გავიცნობ... ეხლა კი  
მშვიდობით.

ქვეშ-ქვეშა ეშმაკა.



† შ ბ რ ბ დ ბ.

ერთი პატარა დაბა,  
ქუთაისს ქვემოთ მდებარე,  
დაბებში უპირველესი,  
ხალხი ასეია მგნებარე,  
უწომო რამე ტრაბაზი  
თავისა თეისის მქებარე,  
განმანათლებელ ჩარაღდნის  
სიმრავლით აღმამნთებარე.  
თანაც გამძრობი ტყავისა,  
თუ ენდვე. ჩამოგბარე.  
ანტერიგენტიც ბევრი ყავს  
არიელ სიტყვით მყეფარე.  
რამოდენიმე ექიმი  
არა ურიგო. მეფარე.  
აი, ეს დაბო გასკერით  
ორ თანასწორე ნაწილათ,  
თუ სიხარისუე არა გჭირთ,  
მას მოახერხებთ ადგილათ.  
ფეხები ძალებს მიუგდეთ,  
კიდეც ეყოფათ სადილათ  
თავი კი შემოინახეთ,  
გამოგვადგება ნამდვილათ.  
შეიძლე სიტყვა; მყრალია,  
შემუშაველ სურნელოვანი...  
(ოდეს თქვენ მასა ემსგავსოთ,  
მოყვასთა შექქჩან გა ლვანი.)  
დასტრალებენ ყვავები,  
სვათა და ყორანთ გროვანი,  
ან თუ მშეერი ძალები,  
ტურათ და შეელთა ხროვანი.  
სიმღერა ისმის იმაოგან  
ვამარჯვებული ხმოვანი.  
გაძვეთეთ ესე საგანიც  
გაძვეთეთ თანასწორათა,  
ამორჩიეთ პირველი,  
ოდეს იხილოთ ორათ.  
დე ისევ დარჩეს მეორე  
მინცორშ საგდებ მძრაოა,  
დამშეულ მტაცებლებისა  
გასაძლებ მოსაყრისათა.  
მესამე სიტყვა, მხარეა  
სამშობლოისა ჩვენისა,  
მეგინია წყლების, მეწყრების,  
სიუხვით გამომჩენისა...  
ტურჭა, კეპლური, ლაშაზი,  
გაძლიერებელი ენისა,  
ხალხი ლობის მოყვარე  
სიღანჯის გამომჩენისა,  
ლეთისა მმოსავი, მლოცველი  
მეფედებელი ზენისა,  
ლაპარაჯშიგან, სიუხვით

მომხმარებელი „ქვე“ ნისა  
დიდი არა აქეს მანძილი  
კორტობზე გადმოფრენისა.  
უნდა გაიჭრას ეგ შარეც,  
გაიჭრას უზოგველათა ..  
მაშ ხელი კალამს! გაუსვით  
როგორც გჩევით ძეტლათა..  
ბოლო არ გვინდა იმისი,  
თავი გვეტირა მთელათა  
შარადის იგი არგია,  
მას დაუცეტით მცველათა  
სამი არსების თავისგან,  
თქვენ მიერ მონაკეთისა,  
გამოგორდება სახლი  
ხალხისა დამაფეთისა...  
მოველით გულის ფანცალიო  
სილაჩრის შესაერთისა. .  
ვინაც ვერა სცნა აქამდე  
მაღლი არ სწყალობს ღმერთისა,

ძოლო.




ნ ე გ თ რ თ ი დ ა ნ.

—  
დიდი შრომის გამომჩენმა,  
ჩენ ში დიდათ ნამსახურმა,  
აქ სხვა ურობა განიძრახა  
სმოტრიტელმა ძინგურმა.  
მელაგის ძალა გაისინჯა,  
არ დაზოგა ლონე სულა,  
და სტრანენის მოწოდება  
ჩინებულათ შეასრულა:  
დაეძგერა ვითა ლომი,  
კინძე შეგირდს, მგალობლიშვილს...  
და იგი დღე დააყენა,  
რასაც ქორი უზამს წიწილს.  
თუმც სტრანენიე ასრულებდა,  
მის ბრძნებას ყოველ წამზი,  
მაგრამ იმას როგორ აცლის!!!  
თვითვე იგდებს ნაობაზი.  
მამასახლისმა რა ნახა  
თვის აღაგზე სმოტრიტელი,  
ის „ტყვე იხსნა“ და ძინგურს  
შეუყენა ოქმი ვრცელი.

—

მას წინეთ თუმცა „გლეხმა“  
ძღვიერ აქა ძიძიგური,  
მაგრამ ახლა საჭიროა  
გახდეს ბეჭებ შენახური.




## დ გ პ ე შ ე ბ ი.

**თელავი.** ვ. ჩაის, ვისაც ჯერ არს, მიუღია  
ცნობები „ახალი“ აგენტებისაგან, რომ „მათრახის“  
კორესპონდენტები თელავის ჯურლმულებში იმაღლე-  
ბიანო. მოახდინეს „აბლაგა.“ დაიჭირეს ონისე,  
გაზეურების აგენტი, დიაკვანი და ყველასაგან ცნო-  
ბილ მალამალა (უკანასკნელმა თუმცა წერა-კითხვა  
არ იცის, მაგრამ მოწინავე წერილებს მაინც ახერ-  
ხებს), დამნაშავენი იმ დღესვე განთავისუფლეს, რა-  
მაც დიდათ დააღონა კოლა უერშალი, ყაზა და  
ჩიქინა, უფრო კი კლასნი დამები.

**იქადანევე.** მანვე დღეს თათუზოვებმა და მათ-  
მა ავან ჩაგანებმა აფიციენტს ერთგული მოღვაწეო-  
ბისათვის საღილი გაუმართეს. იქიდან დაბრუნების  
დროს, რაღაც ზოგიერთები მშევრები დარჩომი-  
ლიყვნენ, მოინდომეს ერთი აფიციის. მაგრამ ხალ-  
ხში არ დაანება, დაჭრილი თფილისში გაფზანეს მო-  
სარჩენათ.

**იქიდანევე.** მომავალ კვირაში, ყველასაგან ცნო-  
ბილი სტუდენტი პანოვი, ახალ რემონტიან კლუბ-  
ში, წიკითხავს ლექციის, თუ როგორ უნდა მოეწ-  
ყოს ბულვარდზე. . . . . . რომ კორესპონ-  
დენტებმა ვერ გაიგონ იგი.

**იქიდანევე.** როგორც გავიგეთ, ოთხ მოძღვარს  
განძურახავს თავის სამწყსო გადაიტანოს რევაზათან,  
თუ იგი კარტის თამაშიაც მოუწყობს მათ. შიხაკო-  
რაპირებიათ, რომ თავის გრამატონსაც იქ ჩამოი-  
რანს.



## წერილი სოხუმიდებნ.

მმა ეშმაკ! გვაცოდნა  
ნეტა რისთვის მოგვიძულეთ?  
ვიცით მოცლა არ გექნება  
მიტომაც არ გვინახულეთ,  
მაგრამ ახლა ნუ გავწირავთ,  
თხოვნა აგი შეგვისრულეთ,  
ერთობ დიდი საჭირო ხართ,  
სხვა დროს როდის მოგატყულეთ,

ბულვარში ნუ გაჩერდებით,  
ბაზრისაკენ გამოსწიეთ  
არ წარმოგსცდეთ ეშმაკობა  
ისე გულში ჩაიტიეთ,  
იქა ნახავთ „მაწანწალებს“  
და მათრახით შეუტიეთ,  
რაც შესძლოთ გაუსწორდით  
სხვა ნისიად დაუტიეთ.


იქავე გვყავს სამი კაცი  
ჯოჯოხეთში წასაყვანი:  
ერთი დიდი . . . .  
და მეორე მიკიტანი,  
მესამე კი ხარაზია  
სანაქებო ბულვანი  
და ამათაც მოუხდაბა  
რომ აუწვათ ზურგის კანი.

ნოქტებშიაც ურევია  
ერთი ორი სანაქებო,  
უთხარ: ასეთ სისაძვლეს  
რათ ჩადიხართ ბატონებო  
სანამ რიგზე არ დაცოცხო  
თავი კი არ დაანებო...  
მერმე თქვენი ნება იყოს,  
რაც ისურვო, რაც ინებო.

როცა მორჩე ამა საქმებს  
ნესტორასაც გაუარე,  
უთხარი რო კეუა ნახოს,  
თორებ გახდეს გულ მწუხარე,  
მათრახისგან შენახურსა  
დაუბნელდეს მზე და მოვარე  
სიტკბოება წუთიერი,  
გადაექცეს ვით ძირმწარე.

სოხუმელი ჭრიაჭინა.






მას შეძლევ: ჩაუ კოპენიაგენის უნივერსიტეტზე მა ჩრდილოეთი პოლიტიკის გენიოსი-აღმომჩენელი კუკი საპატიო წევრით დანიშნა, მან მისი საბუთების შემოწმება გადასწუყირა. ჩენ შეძლება გვეძლევა აქ, პირველიდ სიტყვა-სიტყვით გამოვიდევნოთ ორივინალური მოხსენება დაადი მკვლევარისა.




შპიცერგენის ჩრდილოეთია ჯვარედინი გზაა. მე მარჯვნივ გავყევი, გზის მაჩვენებელის თან ამად.



ამიტომ მე ვუადე პოლიტიკის დამაგრება. თანაუ საბედნიეროთ პატარა ხერხი აღმომაჩნდა. მოჭხერხე ჩრდილო პოლიტიკის წევრი. ეს საქმე ადვილი გამოდგა, რადგან ის წმინდა შოკოლადისა იყო. გავხვიდ ქალალდში და წამოვიდე.



— ერთ შევენიერ დღეს, მე ვუთხარი ჩემ ცოლს: „დღეს სადილით ნუ მიცდი, მიტომ რომ მე მინდა ცოტათი ჩრდილოეთი პოლიტიკის კუნ გვიარო“. — „მართლა? მაში ცეთაყვა არ დაიგიწყო შენი სახაშ. თურ წამოსასხამის წალება“, მოჰასუხა მან. მე ჩინი-ცო ჩემი ქურქა, დავისურე ქუდი და გარეთ გამოავდი.



პოლიტიკის მიღამოები.

ჩეარა მივაღწიო პოლიტიკასაც. მე ის ფიროვანი-ფიულად გადაფილ და ამასთანავე ვაღებნ უმაღლესს სენატის წინაშე. სამწუხრისად შესწევ ვერაფერს დათნახვეთ, რადგან პოლიტიკი ისეთი გიურური სიჩქარით ჩრდილებს, რომ ვერც ერთი მსწრაფლ გადამდები აპარატი ვრ დაწევა მას.



ძეირებასი განძი სახლში კომოდზე შემოვდევი. საუბრულეროთ, ჩემი პატარა ვაჟა ტებილეულობის დიდი მოყვარულია. მან შესქმა ჩრდილო პოლიტიკი. ამის შემდეგ ის ისე ძლიერ ვაიქლენთა ანდამარის ძალით, რომ არც ერთ გემში მისი ჩაეგნა არ შეიძლება. ეს რომ ისე არ იყოს, დიდის სიამოვნებით წარმოვადგენდი კოპენიაგენის უნივერსიტეტის წინაშე ამ ბავშვს, როგორც ფრიად დიდ მნიშვნელოვან საბუთს.

ო ჭ უ რ გ ე თ ი.

(პროვინციულის ამონაკვენები.)

ხმებია: ახალ ქალაქის პრისტავს პასუხის გებაში აძლევენ მოქალაქეებისადმი ზრდილობიანად მოპყრობისათვისო. ახია მაზე.

პარკის საშრობ ყაზარმებში შეუდგენ დახრჩობას. მუშაობა იწყება გათვენებისას ე. ი. ოთხ საათზე და თავდება დაღამებისას ე. ი. ცხრა საათზე ამ დღისში ახრჩობენ როგორც პარკის ჭიებს, ისე იქ მომუშავე მუშებს; მათ შორის კამეტ თოოხმეტ წლისანიც ურევია.

აფ-თავქარი ვასილი ამბობს: ვინ გამიბედავს, რომ მაზანდაზე მაყიდვინოს პარკი?! ვინ იქნება ის რომ ჩემს პარკის სასწორს რამე ისეთი შესწამოს?! მე ეხლა ხომ არ ვსწავლობ როგორ უნდა საქონლის აწონ დაწონევაო.

გვესტუმრა „უნობილი“ მომღერალი სტუდენტი კარტ ნარდი. ამზადებს მის საკუთარ ოპერას „უტიფრობას.“

ძველ ნასოლომონარზე, ახალი სოლომონ „წმი-ნანი“ ამოვიდა. ძველ და ახალს შორის, მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველი სწყალობდა უფროსს, მეორე კი სწყალობს უმცროსს. ახირებულია სწორეთ ეს ხალხი, რომ არაფერი არ დაურჩება შეუტყობელი!

მიუხედავათ იმისა, რომ ბოქაული კუხალეი-შვილი პასუხის გებაშია მიცემული — ის მაინც შეურყევლად სდგას თავის პოსტზე. ეს, ამბად, იმიტომ, რომ ფოთში ჩადენილ ცოდვებისთვის ყოფილა მიცემული პასუხის გებაში და არა აქაურში.

გამწარებული.




ლანჩხუთის სამოსამართლო სამართველოს  
წერილი ეშმაკისადმი.

ჭაიკითხავდი, ძამიავ,  
ხმა გამივრცელეს ცუდიო;  
მთელ საქმეებით დავიწვი,  
ვითომ, ლანჩხუთის სუდით.

მაი „სახალხო გაზეთში“  
ვილაცას დაუწერია,  
ან ჭევა ლალატობს საბრალოს,  
ან ვილაც ჩემი მტერია.  
გთხოვ დამიბეჭდოთ: სტუდისთქმ  
ღმერითმა მაშოროს დაწვათქმ,  
ასეთ ცრუ კორესპონდენციებს  
უნდათ ზურგისა აწვათქმ.

შხანკოლა.



ამ ეტიკეტით ციცელება ჩვენი ლვინო ცელა ს-ბაკალევრინო მაღაზიებში, სამეცნიერო დუკანებში,  
ტრაქტორებში და სასტუმროებში.  
10 ბოთლის ზევით უგზვნით ვუმთავრესი საწყ -  
ბილან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში  
По такому этикету продаются наше вин-  
го в веяльях бакалейных магазинах и пи-  
тейных заведениях.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ по-  
водомъ въ Тифлисъ.  
უგზავნებს საწყაბიდან დეინო დაეთმობათ შე -  
დევ ფასებში:

№ 1 — 20 к. 16 " — 3 р. 60 к.  
№ 2 — 25 к. 16 " — 3 р. 10 к.  
№ 3 — 35 к. 16 " — 5 р.  
№ 4 — 50 к. 16 " — 7 р.

А д р е с ь: Тифлисъ, мухранская ул. д № 81  
Михаилу Николаевичу Кодалову. 0—5

## იუიდება „შრომის“ სტამბაში

და კრეთგვე პროვინციებისაც გეგზავნებათ მსურველთ  
ჟემდები გამაცემანი:

- 1) „ეშმაკის მათოასი“ 1907 წ. 13 ნომერი  
ერთათ შეკერილი . . . . . 1 გან.
  - 2) „ „ „ 1908 წ. 35 „ „ „ 2 „ „
  - 3) „ალმანახები“ 1909 წ. 10 „ „ „ — 50 კ.
  - 4) „მათოასა სალაშ.“ დალმანახები 1909 წლი-  
სა . . . . . 33 ნომერი 2 გან.
  - 5) ფაუსტი. გიორგი, თარგმანი პ. მირიანი-  
შვილისა . . . . . 1 გ. 15 კ.
  - 6) კოლექტივი. კანდელაკისა . . . . . — 35 კ.
  - 7) ქრისტინე. დრამა 4 მოქ ნინოშვილისა,  
გადმოკეთებული ირეთლისა . . . . . 20 კ.
- მსურველს შეუძლია ფულის მავიგრათ ღირე-  
ბული ფოსტის გარები გამოვზავნოს.
- ადრესი: Тифлисъ Типографія Шрома Василію  
Болквадзе.

მაღნეულის, ხილეულის და სამკურნალო წელის

ქარხანა

## გ. ლალიძის და ამხ.-სა


თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411.

ჩვენი ქარხნის მარაგი

მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წენით და საუკეთესო ხილეულის გამოხდილის წყლითა და წმინდა შექრით.

წელი მზადდება გაუმჯობესებულ „გაგუგმით“ მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით.

მუშარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქ. რხნის



● გ. ლალიძისი გამოსი და სუნილებისაა, ●

და თუმცის სამკურნალო განეოფილების ანალიზითაც

მისი კარგი ღირსება დაჯილდოვებულია

ამიტომ ჭარბით გულისა და სუნილებისაა და თუმცის სამკურნალო განეოფილების ანალიზითაც გაფრინდება ხელის სახურავთ სხვა ქარხნების უფრო იაფსა და მიმსგავსებულ წესის ასაფებენ.

— შე —

მოითხოვეთ ეგელგან გ. ლალიძის და ამხანაგობის ფიალი

და აგასთან მიაჰვით ზურაბ გაგარინი

— თავსაცოგას ჩვენი ქარხნის ბეჭდით —


ქარხნა ხილეული წყლით წარჩინებული თვისებისათვის დაჭილდოვებულია  
ოქროს და ვერცხლის დიდი მენცლით



ჩინოვნის უკონფიდენციალურობა.



იქან ივანიჩი უკონფიდენციალურობა ხდება მაგისტროს.



იქან ივანიჩი ესაყშება თავის უკინეთობა.